

შინაური საქმეები.

№ 7.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი შეეძება.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

კვირა, 17 თებერვალი 1913 წელი

ფიქსურ-საქმიანო გაზეთი

ფიქსურ საქმიანოებზე

საქმიანო № 17). და თიანეთში გამოქვეყნდა სომხის ბაზარში, სომხთაგანს შუქის მარჯვნივ. გამოვეთქვეთ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	სახ. წელი:	სამი თვე:	ქოთი თვე:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფასი 1 მანეთი. თუ გინდათ, დაგვიწერეთ, დაგვიუბრუნებთ. თუ გინდათ, დაგვიწერეთ, დაგვიუბრუნებთ. თუ გინდათ, დაგვიწერეთ, დაგვიუბრუნებთ.

შინაურნი: 1. უმაღლესი მანიფესტი; 2. საუბრები. მეორე საღამო, როგორც ეშველება საქმეს (გაგრძელება) — 3. კ-სა; 3. ყველგან — მღ. იოანე ლუკინაძის; 4. კრიტიკული შენიშვნები — ზონდელისა;

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღმერთისათა ჩვენ ნიკოლოზ მეორე იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვა და სხვა და სხვა უცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშემრდომთ: ნებითა შენაგისისა სამი საუკუნეა მას შემდეგ, რაც რიურისების სამეფო გვარი შესწყდა რომლებთაც დააბრუნეს და შექმნეს მილანი რუსეთი. ბევრი მძიმე ვანსაკდელი დაიბრუნა თავს ჩვენს სამშობლოს; ანარქიამ და შინაურმა არეულობამ მოიკცა მთელი რუსეთი, გარეშე მტრები შემოესივნ ჩვენ საზღვრებს; პირველი სატახტო ქალაქი მოსკოვი მისი წმინდანებით მტერს ჩაუვარდა ხელში; მაგრამ უკიდურეს ვანსაკთელის და გაჭირვების დროს, ყოველის შემძლებელმა უფალმა არ დასტოვა ის უნუგეშოთ; რუსის მხნე ხალხის მოწოდებით, რომელთაც თავი შეაფარეს სო-

გივეის ლაერას. შემოკრბა რუსის ხალხი სამშობლოს დასაცავათ და შეწვევითა ღეთისათა შოიგერა რა მტერი, განათავისუფლა მოსკოვი მის ძალმომრეობისან. დიდმა საერო კრებამ, რომელიც მოწოდებულ იქნა 21 თებერვალს, 1613 წელს ერთხმით აირჩია მეფეთ ბოიარინი მიხეილ თეოდორეს ძე რომანოვი, ახლო ნათესავი უკანასკნელი სამეფო გვარის რიურკიკისა და წმინდა ვლადიმერისა. დიდი ფიქრისა და მხურვალე ლოცვის შემდეგ ჩვენმა ჭაბუკმა წინაპარმა, თავის ღედის მონაზონი მართას ლოცვაკურთხევით მიიღო სამეფო სამსახურის მძიმე ტვირთი. იმ დროიდან დღემდე ღეთის ძალა ჩვენ გვირგვინოსან წინაპართა შეერთებულ ძალთან ერთად იფარა და ამალეებდა ჩვენს სამეფოს. არა ერთხელ ჩავარდნილა ჩვენი სამშობლო გასაქირში, მარა რუსის ხალხი, ძლიერი მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით გამსჭვალული, თვის მეფეთათვის თავდადებული, სძლევდა ხოლმე ყოველივე განსაცდელს და გამოდიოდა სრულიად განახლებული და გაძლიერებული. მოსკოვის რუსეთის ვიწრო საზღვრები გაფართოვდა; რუსეთის იმპერია ამოუდგა გვერდში მსოფლიოს უპირველეს სამეფოებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალშიაც ჩვენ საყვარელ ხალხთან ერთად დავიცავთ ჩვენი სახელმწიფოს თანდათან განვითარებას და იმპერიის მცხოვრებათა მშვიდ და ნაყოფიერ ცხოვრებას. როდესად თვალს ვავლებთ წარსულ სამ საუკუნეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ რუსეთის საუკეთესო შვილთა დიად თავდადებას და მოღვაწეობას, რომელნიც არ ზოგადდენ მისთვის არც შრომას, არც ქონებას და არც საკუთარ სიკაცბლეს.

დღე ეს დიდებული სახალხო დღესასწაული სამარადისოთ დარჩეს ჩვენი შრომელი ქვეყნის მატრიანეში, რაიცა აღნიშნავს რომანოვების გვირგვინობის 300 წლის მეფობის იუბილეს; ის მაჩვენებელია მთელი რუსეთის წინაშე მათი გვირიდან წარმოშობილ მოღვაწე მეფეების დიდებული ღვაწლის და აგრეთვე ყველა ერთგულ ქვეშევრდომთა დიდებული დამსახურებისა, გლეხის წინამძღვართა და მწყემსთა გან-

მანათლებელ მოღვაწეობისა, რომელმაც ესოდენ განაბრწყინა და ასახელა რუსის ქვეყნისა ქვეშარიტი სარწმუნოებით, შრავალი კეთილმსახურების და ქრისტიანული მაღალ სიყვარულის მაგალითებით. რუსის კეთილშობილმა ახნაურობამ სამშობლოსადმი ერთგულება თავისი სისხლით აღბეჭდა და სახელმწიფოს საზოგადო შრომაში ის მუდამ სამაგალითო მოქალაქობრივ სიმამაცეს იჩენდა, განსაკუთრებით ეს ითქმის გლეხთა ბატონობისგან განთავისუფლების დროის შესახებ, ის ბრწყინვალე დიდებულ სახეს ღებულობს რუსის მხედრისას, როგორც სარწმუნოების, ტახტის და სამშობლოს მკველი, მისმა სიმამაცემ, მათი მოვალეობის შეუღრეველმა სისრულეში მოყვანამ და რუსეთის ქრისტეს მოყვარულმა მხედრობამ დაიფარა რუსის ქვეყანა მტერთაგან და მსახურებს მას ფართ მტერთა შემოსევის წინააღმდეგ. დიდი შეუწყვეტელი და პატიოსანი შრომა დადებული ჩვენდამი თავდადებულ მსახურებისაგან განურჩევლად წოდებისა იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფო შექმნათ. სხვა და სხვა მეცნიერებათა, სიტყვიერების და ხელოვნების დარგებში გამოჩენილმა რუსებმა საპატიო სახელი მოიხვეჭეს და მათი შრომანი ღირსეულათ ცნობილია არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის საზღვრებ გარეთაც; სასოფლო სამეურნეო, სავაჭრო, სამრეწველო და სხვა მშვიდობიან ასპარეზზედ გამოჩნდენ ღირსეული და დაუღალავი შრომის მოყვარე რუსები, რომლებმაც შეთანხმებულ შეერთებულ ძალით შექმნეს ღეთაებრივი ძლიერება რუსეთისა. განუზომელი და უთვალავია იმ შრავალ მილიონიან მხენელ-მთესველ რუსის ხალხის შრომა-დამსახურება რუსეთის წინაშე, რომელთა შრომით კეთილათ მოწყობილია მიწათმოქმედებითი წარმოება, რაც ქმნის მთელი ჩვენი ხალხის სიმდიდრეს. კეთილათ ვიხსენებთ რა სამშობლოს — კეთილ დღეობისათვის ყველა მოღვაწეებს, რომელთაც მოუწოდებთ ჩვენი მეფობის მეოთხე საუკუნეში ისეთივე ერთგული მუშაობასათვის და მოვმართავთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომთ, რომ ჩვენთან ერთათ ლოცვითა და ეცდრებით მიმართონ უზენაესს, რათა განუსვენოს ჩვენს ვვირგვი-

ნოსან წინაბრებს და ყველა იმით, რომელთა ღვაწლის მეოხებით დღეს ასე ძლიერი და დიდებულია ჩვენი სამშობლო. დე მოწიწებითი მოგონება მათი ღვაწლისა იყოს ეს მათი ანდერძი მომავალ თაობათათვის. დე, ჩვენი ტახტის გარშემო შეპყრობოს -- შეაერთოს მან ყველა ჩვენი ერთგული ქვეშევრდომნი შრომისა და მოღვაწეობისათვის, რათა იდიდოს რუსეთი. გესურს რა აღინიშნოს დღევანდელი დიდებული დღესასწაული და სამარადისოთ აღიბეჭდოს ის ხალხის ხსოვნაში, კეთილათ ვცანიოთ ჩვენ ქვეშევრდომთმივანიკოთ წყალობასი, რაზედაც პრძანება მივეციოთ უმართებულეს სენატს.

ნამდვილზე ხელი უწერია მათი იმპერატორებითი უდიდებულესობას

ნიკოლოზი.

უჩაჯი უმართებულესი სენატისადმი.

ჩვენი გვარეულობის 300 წ. მეუობის აღსანიშნავათ, ჩვენთვის სასიამოვნოა მსგავსად წარსულისა აღვნიშნოთ ეს დღე საქველმოქმედო საქმეებით და მივანიკოთ ჩვენ საყვარელ ქვეშევრდომებს სხვა და სხვა მოწყალება, შეღავათი, შემსუბუქება. შრომისა და მძიმე ვაკიერების დროს ჩვენთან მყოფი და ჩვენი ერთგული რუსის ხალხი დე შემოგვიერთდეს ჩვენ დღევანდელ სადღესასწაულო დღეს. ამასთან ერთად ვემორჩილებით რა ჩვენ გულის თქმას, არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ სოფლის ობლებთა საკოდაც მდგომარეობას. რომ უკანისკელთაგან შევძინოს ქვეყანას სალი წევრები, ჩვენ უპრძანეთ დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტები, რომლის მიზანი იქნება გააერთიანოს არსებულ დაწესებულებათა მოქმედება სოფლის ობოლთა მოვლაპატრონობის საქმეში.

ვაფასებთ რა ჩვენი იმპერიის უპირველესი წოდების თავდაზნაურობის სასარგებლო მოღვაწეობას, რომელიც დაწყობილად მისათ მუდომებულობაზე და გაე-

ლენთილია რუსეთის სახელმწიფოებრივობის ძველთაგან ნაანდერძვე წესებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით, ჩვენ საკიროთ მივიჩნიეთ დავეხმაროთ ჩვენ ერთგულ თავდაზნაურობას მით, რომ მიუცეთ საშვალება მას გააძლიეროს სათავად აზნაურო ურთიერთ დამხმარე კასები და სხვა მსგავსი დაწესებულებები.

1906 წ. 12 აგვისტოს ჩვენ ვინებეთ გადასცემოდა საგლებო ბანკებს უდელის მიწები იმ პირობით, რომ ამ მიწების გაყიდვისაგან დარჩენილი სარგებლით დაარსებულყო განსაკუთრებული ფონდი სოფლის მცხოვრებთათვის მიწათმოსაწყობი დახმარების აღმოსაჩენათ.

ახლა ჩვენ საამდროვოთ ვსცანით მიემატოს ეს სარგებელი სპეციალურ კაპიტალს და მოხმარდეს ერთიკ და მეორეკ სოფლის მკვიდრთა მეურნეობის გაუმჯობესებას, რაც უნდა მოხდეს ამ კაპიტალის შესახებ მომავალში შემუშავებულ წესების თანახმათ. ამასთან ერთად ჩვენ საკიროთ დავინახეთ, რომ 1906 წ. 15 მარტის კანონით სხვა და სხვა წოდების მიწათმფლობელების სესხი, რომლის საკიროება გამოწვეული იყო წარსული საწუბარო შინაური არეულობითა და უწესოებით, აღარ გადახდეთ შემამულეებს.

სხვა და სხვა დაწესებულებების მოსამსახურეთა დაუღალავ შრომისათვის წასაქვებლათ ჩვენ სამართლიანათ ვსცანით საზოგადო საპენსიო წესდების გამოკემადის მიგველო ზოგიერთი ზომები მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების ნიეთიერად უზრუნველსაყოფათ. განსაკუთრებულ შემთხვევაში დამსახურების შროე მიუცეთ მათ შეღავათი და დაენიშნოთ გაძლიერებული პენსია და ერთდროული დახმარება. ამასთან ჩვენ ვუბრძანეთ მინისტრებს და მთავარ გამგეებს აზრუნონ იმის შესახებ, რომ არსებული წესის მიხედვით გამოიხატონ საშვალება მოხელეთა შვილების აღსახრდელათ. ყველა ამასთან

ჩვენ საჭიროთ ვსკანით შემოვიღოთ განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც მიეცემა იმ პირებს, რომელთაც თავი ისახელეს სასოფლო-სამეურნეო ძოღეაწეობის ასპარეზზე.

ოფიციალურ ცირკულიარის დამატებით 3. დ. სააგენტო შემდეგს იტყობინება:

1) უმაღლესათ ნაბრძანებია შიქტეს ყურადღება სოფელში მცხოვრებელთა თავშენაფარის დაარსებას განუჩივლათ წოდებისა და სარწმუნოებისა; და აგრეთვე შიქტეს ყურადღება ამ მხრით მთავრობის, საზოგადოებისა და კერძო მოქმედების შეერთებას.

2. დაარსდეს სააზნაურო ბანკის ხარჯზე განსაკუთრებული ხელუხლებელი ფონდი ათ მილიონამდის, რათა ამ ფულის პროცენტით გაძლიერებულ იქნას საგუბერნიო სააზნაურო ურთიერთ დამხმარებელი კასა და სხვა სააზნაურო დაწესებულებანი.

3. გლებთა ბანკის მოგებულ ფულიდან, სახელმწიფო მიწების გაყიდვით დაარსდეს განსაკუთრებული ხელუხლებელი კაპიტალი ხელმწიფის სახელობაზე; მიეთვალოს ყოველ წლივ, 1913 წლიდან დაწყებული აღნიშნული ჯამი დასახელებულ კაპიტალისა 50 მილიონამდის, რომ ამ კაპიტალის პროცენტი, და აგრეთვე 50 მილიონს ვარდა დარჩენილი ფული მოხმარდეს სოფლის მეურნეობის და შრომის პირობების გაუმჯობესობას.

4. ეპატოს შემამულეებს 1906 წლის 15 მარტის კანონით მიცემული სესხი აგრარული არეულობის დროს დაზიანებულ სოფლის მეურნეობის აღსადგენათ.

5. მოყვანილ იქნას სისრულეში უმაღლესათ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულება შეღავათის შესახებ, გამოცემული იუბილესი გამო, და მიენიჭოს უმაღლესი ჯილდო თხოვნისამებრ იმ პირთ, რომლებმაც გამოიჩინეს განსაკუთრებული ერთგულება საზოგადო და საქველმოქმედო ასპარეზზე.

6. ახალ საზოგადო წესდების გამოცემაში, შესახებ პენსიისა და ერთდროულ დახმარებისა, ნება მიეცეს მინისტრთა საბჭოს, რომ მან იმ პირთ, რომელნიც სამსახურიდან გადიან და აგრეთვე სამსახურში მყოფ პირებს, მათი თხოვნების განხილვის შემდეგ, მისცეს გაძლიერებული

ბული პენსია და ერთდროული დახმარება.

7. ნება მიეცეს განსაკუთრებულ შემთხვევებში უფრო შეღავათიანი დახმარება აღმოუჩინონ, არსებული კანონის მიხედვით, იმ მოხელეებს, რომელთაც დიდი ხანი უმსახურიათ.

8. ამასთან ერთათ მიენდოს სხვადასხვა უწყების უფროსებს, არსებულ წესების ფარგლებში იზრუნონ მათგან დამოკიდებულ უმცროს მოხელეთა ბავშვების აღსაზრდელათ საჭირო კრედიტის გასაძლიერებლათ; და უპირველესათ ყურადღება მიეცეს უფრო ღარიბ მოხელეებს.

მიეცეს უფლება ოჯახის პატრონ გლებებს, რომლებიც გადასახლდენ ურალს იქითა მხარეს 1913 წ. 21 თებერვლამდე ამისთვის დადგენილ წესის ვარემე და რომლებიც დაესახლენ ახალ ადგილებზე, — ისარგებლონ ყველა იმ უპირატესობით, რომლითაც სარგებლობენ წესიერ დადგენილებათა მიხედვით გადასახლებული გლებები; გამოჩაკლის აქედან შეადგენს სამხედრო ბეგარის მოხდა.

თანხა 75000 მანეთამდე, რომელიც შეტანილია მიწათმოქმედობის მთავარ გამგეობის ხარჯთაღრიცხვაში, სახსოვრათ რომანოვების გვარეულობის სამასი წლის იუბილესა, მიეცეს 1913 წ. სოფლის მცხოვრებს სოფლათ მეურნეობის კარგათ დაყენებისთვის, ფულათ და აუნაზღაურებლათ.

განთავისუფლდენ ის სამხედრო პირები პასუხისგებისაგან, რომლებმაც არსებული წესის დარღვევით ჯვარი დაიწერეს. ეპატოს მცხოვრებთ „ნედოიმკები“ (აქ ჩამოთვლილია ყველა ის „ნედოიმკები“ რომელიც ეპატიებათ). ამასთანავე ის სტუდენტები, რომლებმაც უკვე დაასრულეს უმაღლესი სასწავლებლის კურსი და ემზადებიან ჩაბარონ ეგზამენი გამოშტეტელ კომისიებში, თავისუფლდებიან ამისთვის საჭირო ფულის შეტანისაგან ამ შემთხვევაში თუ წარადგენენ სიღარიბის მოწმობას.

სასწავლებლის გამგეობას მიეცეს უფლება ახალი სამოსწავლო წლიდან უკანვე დააბრუნოს ის სტუდენტები და მსწენელები, რომლებიც იყო დათხოვნილი ნება დაურთველ კრებებში მონაწილეობის მიღების გამო, მხოლოდ იმ შემთხვევაში

თუ დათხოვნილები თითონ არ იყვენ მომწყობი კრებისა და აქტიურათ არ უშლიდენ ხელს მოსწავლეთა შეცადინებას.

იმ პირობით, რომლებმაც 21 თებ. 1913 წ. ჩაიდინეს მცირე დანაშაულობანი როგორც უბრალო, ისე სახელმწიფოებრივი, ეძლევათ შეღავათი და შეწყალება.

ამათ რიცხვში ნაბრძანებია ეპატოოს ყველა იმათ, ვინც მიითვისა და გაფლანგა სამსახურის დროს მიბარებული ქონება, არა უმეტეს ათას მან. ამ დანაშაულისათვის სასამართლოსაგან დასჯილნი, ან და უკვე სასჯელის ქვეშ მყოფნი, თუ მათ მიერ მიითვისებული და გაფლანგული, სავსებით დააბრუნეს 21 იანვრამდე 1913 წ. განთავისუფლებული იქნან სასჯელისაგან.

ნაბრძანებია სასამართლოსაგან და სასჯელისაგან გაანთავისუფლონ ის პირნი, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაული, აღნიშნულნი სისხლის სამართლის წესდების მე-93 და 94 მუხლებში (შეეხება სტარობრიადცებს); აგრეთვე სისხლის სამართლის წესდების მე-1575 მუხლში; ის პირნი, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაული 1913 წ. 21 თებერვლამდე და ეხებათ მე-103, 104, 106, 107 მუხლები; ამასთანავე ის პირნი, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაული ბეჭდვითი სიტყვით 21 თებერვლამდე 1913 წ., რომელნიც აღნიშნულია სისხლ. სამარ. წესდ. მე-128, 129 და მე-132 მუხლებში; მე-2—9 პუნქტებში აღნიშნულნი თანამდებობის პირნი, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაული 21 თებერვამდე 1913 წ. არა ანგარებით და კერძო ინტერესებით ჩაითვალოს სამსახურიდან გადადგარათ, სამსახურიდან გამოგდების მაგიერ. თანამდებობის პირნი, რომელთაც 21 თებერვლამდე 1913 წ. ზუსტად აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულისათვის სამსახურის დროს, დროებითი ციხეში დაწყევდევა და თან ზოგიერთ უფლებების და უპირატესობების ახდა მისჯილი ქონდათ, მოუხედავით იმისა, რომ მათ ციხეში ჯდომის ვადა ერთი მესამედით უმოკლდებათ, ჩაითვალონ სამსახურიდან არა გამორიცხულათ, არამედ თანამდებობიდან თავის ნებით გადადგარათ.

ზემოთ დასახელებული მოწყალება არ ვრცელდება იმ პირობებზე, რომელთაც ჩაიდინეს ქურდობა, გარეწრობა, შითვისება, მიბარებულ ქონების გაფლანგვა, გატაცებულის დაპაღვა, ყიდვა და ნაქურდალის გირაოთ მიღება, მეფახშვობა მექრთამეობა, ჯაშუშობით სახელმწიფოს ღალატი და სხვა დანაშაულნი, რომელნიც აღნიშნულია 1423 მუხლში სასჯელთა დებულებისა, მე-524 და მე-529 მუხლებში სისხლ. სამარ. წესდებისა. არ ვრცელდება აგრეთვე იმათზე ვინც შებღალა სხვისი პატიოსნება, დაარღვია ფიზიკური ხელ შეუხებლობა, და მათ ამისთვის მისჯილი ქონდათ სატუსალოში დამწყვედევა, უფლების ახლით ან შეზღუდვით. აქედან გამორიცხული არიან აგრეთვე ის პირები, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაული და მათთვის მიუსჯიათ თულის ჯარიმა არა ნახინის, უდელის, სასახლის უწყების და კაბინეთის სასარგებლოთ. ამ მუხლში ნაჩვენებ 1913 წ. 21 თებერვლამდე ჩადენილ დანაშაულთა, აგრეთვე მათაც, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი და მას უკვე იხდიან, სასჯელის ერთი მესამედი ეპატოოს. იმ დანაშაულთა, რომელთაც დანაშაულისათვის კანონისამებრ მისჯილი აქვთ ან მოელით ციხე, სატუსალოთა განყოფილება, გამოსწორებელი რაზმი და ციხე ყოველივე უფლების ახლით მათ სასჯელი ერთი მესამედით შეუმკირდეს. 21 თებერვლამდე სატუსალოდან განთავისუფლებულთ, რომელნიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ, ზედამხედველობის ვადა ერთი მესამედით შეუმკირდეს.

მათ, ვინც 1913 წლის 21 თებერვლამდე ჩაუდენიათ დანაშაულობა, რისთვისაც სამუდამო გადასახლება მოელით და აგრეთვე მათაც, ვინც ამ დანაშაულობას იხდის, ან იმ პირობით, რომელნიც საკატორლო ვადის შესრულების გამო უკვე გადასახლებულთა რიგში გადავიდენ ან მომავალში უნდა გადავიდენ. თუ მათ დანაშაულობა ჩაუდენიათ მიმდინარე წლის 21 თებერვლამდე, შეუმკირდეთ ათი და 15 წლის ვადა-პირველთ 4 წლამდე, მეორეთ, 6 წლამდე. იმ სამუდამო გადასახლებულთ, რომელთაც ციხეში გაუტარებიათ არა ნაკლებ 9 წლისა, მეცხრე წელს

საცხოვრებელ ადგილის არჩევისა გარდა სატახტო ქალაქებისა და გუბერნიების, ხოლო ისინი ნ წლით დარჩებიან პოლიციის მხედველობის ქვეშ; ამათ რიცხვში იმათ, ვინც სისხლის სამართლის დებულების ძალით არიან დასჯილი, დაუბრუნდეთ ზოგიერთი უფლება გარდა განსაკუთრებული და ქონებრივი უფლებისა. ზემორე აღნიშნული შეღავათი ეხება იმ პირთ, რომელთათვის სისხლის სამართლის დებულების მე-84, 85, 96 მუხლებშია აღნიშნულნი (სარწმუნოებრივი დანაშაული) კატორღა მისჯილთ სამუშაო ვადა ერთი მესამედით შეუმსუბუქდეს; უვადო კატორღა — 20 წლის კატორღაზე შეეცვალოს. წყალობა ესე ენიჭება იმ პირთაც, რომელთაც კატორღა მოგლით იმ დანაშაულისათვის, რომელიც 1913 წ. 21 თებერვლამდე ჩაუდენიათ; ყველას ვისაც 1913 წ. 21 თებერვლამდე სიკვდილით დასჯა ქონდათ გადაწყვეტილი, — შეეცვალოს მათ ეს სასჯელი — ოცი წლის კატორღით.

ზემო აღნიშნული წყალობა არ ვრცელდება იმ პირებზე, ვისაც ისეთი დანაშაული ჩაუდენიათ, რომელიც ჩამოთვლილია სასჯელთა დებულების მე-922—941 (აგაზაკები), 987, 1449, 1451, 1453, 1477, (მშობლების მოკვლა, წინათ განზრახული დაშვება) 1632—1634, 1643, 1654, (ცარცვა-გლეჯა, ქურდობა) და აგრეთვე სისხლის სამართლის დებულების მეორე ნაწილის მე-100, 102 და 125 მუხლებში ნაჩვენები (პოლიტიკური დანაშაულობანი). იმ პირთ, რომელთაც წინათ გამოცემულ მანიფესტით სასჯელი შეუმსუბუქდათ მათ გადასახლების და კატორღის ვადას ერთი წელიწადი მოაკლდეს. საუკუნოთ გადასახლებულნი, რომელნიც 1913 წ. 21 თებერვლამდე სახალინზე იმყოფებიან, გათავისუფლდენ განსმართლების ყოველივე შედეგებისაგან და აღდგინოთ უფლებები დასახლებითი, სამსახურით და აგრეთვე ქონებრივი უფლებების გამოკლებით. ის პირნი, რომელთაც აღმინისტრაციული ხარისხი უნდა გადიხადონ — განთავისუფლდენ ასეთისაგან. საზღვარ გარეთ თავშეფარდებულნი, რომელთაც სასჯელი მოკლეთ მე-325, 326 მუხლის ძალით — ამ

მუხლების ძალით არ დაისაჯონ, და რუსეთში დაბრუნების შემდეგ პოლიციის 2 წლის ზედამხედველობის ქვეშ უნდა დარჩენ. გათავისუფლდენ ყოველივე მოსალოდნელი სასჯელისაგან ის პირნი, რომელნიც სამხედრო პეგარას გაურბოდენ — თუ ისინი 1914 წ. 21 მარტ-აპრილამდე გამოცხადდებიან. გათავისუფლდენ გადასახლებისაგან და სხვა — სასჯელებისაგან ის პირნი, რომელნიც დასჯილნი არიან სახელმწიფო წყობილების დაცვის ზომების მე-34 მუხლის ძალით, პოლიციის მხედველობის ქვეშ არიან და საუნივერსიტეტო ქალაქში აკრძალული აქვთ ცხოვრება, უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარი უწყსოებაში მონაწილეობის მიღებისათვის არა უმეტეს ერთი წლის ვადისა. ხოლო იმ პირთა მიმართ, რომელნიც გადასახლებულნი არიან ციმბარში და ევროპის რუსეთის შორეულ ადგილებში, ეს ზომა გამხორციელებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ გადასახლებული კარგი ყოფაქცევის არის. განთავისუფლებულ იქნან დატუსაღებისაგან ის პირები, რომელნიც სახელმწიფო წყობილების დაცვის შესახებ არსებულ წესების დარღვევისათვის იქნენ დატუსაღებულნი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბძანებით უწმინდესი და უმართებულესი სინოდისადმი, დიდი ღვაწლის აღსანიშნავათ, რომელიც გაუწია სასულიერო სკოლამ და განსაკუთრებით სასულიერო აკადემიებმა ეკლესიის და სამშობლოს, რომანოვეების გვარეულობის მეფობის 300 წლის თავზე უმაღლესათ ებოძათ სახელწოდება „საიმპერატორო აკადემიებისა“, რუსეთის ოთხივე აკადემიებს კიევისას, მოსკოვისას, პეტერბურგისას და ყაზანისასა.

მანიფესტის შავი.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა სამხედრო მინისტრის ბძანება, რომლის მიხედვით შეღავათი ეძლევათ იმ დანაშაულობისთვის, რომლისთვისაც ამ უწყებაში მკოფ პირთ მოვლის დასჯა ან იხდიან სასჯელს. მეორე ბრძანებით შეღავათი ეძლევათ სამხედრო პირთ სამხედრო სამსახურში წარჩინების მიღებაში.

ს ა უ ბ რ ე ბ ი .

მორა საღამო.

როგორ ეწველება საქმეს?

(გაგრძელება*).

პეტრე: მუშათა წოდებას რომ საკუთარი მიწა ჰქონდეს, მაშინ ყველანი ქალაქებში აღარ წავიდ-წამოვიდოდნენ და გლეხი კაცი სოფელშივე იშოვიდა მუშასაც და მოსამსახურესაც.

თომა: სახელმწიფომ თვალყური უნდა ადევნოს იმასაც, რომ გლეხი და მუშა იძულებულნი არ იყვნენ ყოველთვის მეტი და მეტი დაუთმონ ხოლმე ანგარიშით კუთვნილს ქირაზე. კაპიტალისტებსაც არ უნდა ჰქონდეთ უფლება მოუმატონ ხოლმე მუშას გარდასახადი.

მღვდელი: სავსებით გეთანხმებით, ამას სახელმწიფო შესძლებდა და უნდა დაეხმაროს კიდევ მუშებს.

თომა: სახელმწიფომ უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს კიდევ ერთი მუხლიც. — მოწესრიგება და შედგენა კანონისა შრომისთვის ჯილდოს შესახებ. სამართლიანობა მოითხოვს, ჯილდო შრომისთვის იმდენი უნდა იყოს, რომ პატიოსან მუშას ეყოს საზრდოთ. ეხლა კი მუშის ქირა სრულიად დამოკიდებულია სამუშაოს მიმცემის სურვილზე. რასაც ეს უკანასკნელი მისცემს, მუშამ ის უნდა აიღოს; ამიტომ საჭიროა, რომ ეს თვითნებობა შეზღუდული იყოს კანონით.

მღვდელი: რასაკვირველია, ქირა უნდა მუშაობის შესაფერი იყოს, მაგრამ მუშაობის პირობები და გარემოებანი ისე სხვადასხვახაირი და ცვალებადნი არიან, მუშათა მიერ თვის მოვალეობათა აღსრულება ისე სხვადასხვაფერია, რომ ძნელად თუ შეიძლება ამ მხრივ შემუშავება ყველასთვის ერთნაირის წესისა. სა-

ხელმწიფოს შეუძლია, რომ დააწესოს ერთხელ გადაწყვეტილი ქირა წარმოების იმ დარგში, სადაც უფრო ცხადათ სჩანს ხოლმე დაზავება და უსამართლობა. ამის საწინააღმდეგოდ, მუშებს შეუძლიათ ამხანაგობები შეადგინონ სამუშაოს მიხედვით. ამ შემთხვევაში ისინი საკმარის ძალას წარმოადგენენ მისთვის, რომ ზოგად შეთანხმებით მოაცემინონ ხოლმე სწორე ქირა. კიდევ არის მესამე მიზეზი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ საკითხის გადაწყვეტას — ეს არის სამუშაოს მიმცემნი. რა უნდა იყოს მათი დახმარება?

სამუშაოს მიმცემებმა, პირველად ყოვლისა, არ უნდა მიიჩნიონ თავისი მუშები, როგორც უფლებო მონები; მიტომ რომ ყველა კაცი არიან ძენი ერთი ზეციერის მამისა და, მაშასადამე, ერთმანეთის ძმანი, ყველას აქვს უფლება სიყვარულისა და პატივისცემისა. მუშა კი, გარდა ამისა ღირსია პატივისცემისა, მიტომ რომ სიცოცხლეს ატარებს მძიმე შრომაში. ამიტომ, უპატიოსნოდ და უზნეოდ იქცევა ის, რომელიც სჩაჯრავს მას, რომელსაც გაუხდია ის თავის გამოჩენის საშუალებად და სთვლის მას მხოლოდ მანქანად.

სამუშაოს მიმცემთ უნდა აძლიონ შესაფერი ჯილდო მუშაობისთვის; ისე რომ მუშამ იმდენი მაინც მიიღოს, რაც ერგება მას უბრალო სამართლიანობაზე მიხედვით. მაგრამ მათ, სიყვარულისა გამო, უფრო მეტი უნდა აძლიონ იმაზე, რასაც მოითხოვს მათგან სამართლიანობა. ასე განსაკუთრებით მაშინ უნდა მოიქცნენ ხოლმე, როცა მუშის შრომიდან ბევრს გამოიჩინენ, ან როცა მუშა განსაკუთრებულს პირობებში იმყოფება. მაგ. ავად არის, ან რაიმე უბედურობა ეწია. რასაკვირველია, მუშას არაფერი უფლება არა აქვს ამ მომეტებულ ქირაზე.

*) იხ. „ზინაური საქმეები“ № 6.

მაგრამ მას აქვს იმედი სამუშაოს მიმცემის წყალობისა და კეთილის ნებისა.

სამუშაოს მიმცემნი, შემდეგ, უნდა პირადად ზრუნავდნენ მუშათათვის, და ჰქონდნენ მათთან ახლო ურთიერთობა, არ უნდა უტყვირონ მათ შედიდურად, თითქოს თვითონ უფრო ძვირფას მასაღიდან იყვნენ გაკეთებულნი, არ უყვირონ, უკმეხად არ მოეპყრან და არც თავის მოხელეებს მისცენ ამისი ნება. არაფერი არ უკლავს გულს საწყალს კაცს ისე ძალიან, როგორც გამოცხადებით მისი ათვალისწინება და ეს მხოლოდ მიტომ, რომ ის ღარიბი კაცია. ან როცა მას კაცად აგდებენ მხოლოდ მაშინ, როცა სჭირდებათ მისი სამსახური. ამის გამო უფრო შორდებიან ერთმანეთს მდიდარი და ღარიბი, უფრო მტრული ხდება დამოკიდებულება სამუშაოს მიმცემთა და მუშათა შორის. ორივე მხრის დასაახლოებლად ერთმანეთთან, სამუშაოს მიმცემნი ვალდებულნი არიან მოეპყრნენ მუშებს სიყვარულით და თავაზიანათ. ამისი მაგალითებია ის ქვეშაობად ქრისტიან მუშათა კავშირები, რომლებშიც სამუშაოს მიმცემნი პატივს ცემენ მუშებს და სარგებლობენ მათი რჩევითაც. ასეთნივე არიან ის პროფესიონალური კავშირები მუშათა, რომლებშიც სამუშაოს მიმცემნი და მუშები, ერთად ბჭობენ ხალხმე საერთო ინტერესებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გულთადი დამოკიდებულებას ცალკე მუშებთან, რომლებზედაც უნდა იზრუნონ სამუშაოს მიმცემებმა, თუ მაგალითად, მუშა გახდა ავად, ან რაიმე უბედურება შეემთხვა და სხ.

თომა: მე ვიცნობ ერთს სამუშაოს მიმცემს, რომელიც ამ მხრივ ძალიან ეხმარება მუშებს. ის თავის ხარჯით აშენებს მათთვის სადგომებს, რომლებსაც პატარა მიწაცა აქვთ გარშემო და საკუთრებად ურიგებს მუშებს, თუ მუშები

ყოველწლივ გამოიღებენ ხასყიდის ფასს.

პეტრე: ეს კაცი იმაზე მეტს შერება, რაც მოეთხოვება სამართლიანად. მუშათა სიყვარული აიძულებს მას ასე კეთილშობილურად მოიქცეს. ქება და პატივი ამგვარს პატრონებს, რომლებიც დაეძებენ არა მარტო თავისს პირადს გამორჩენას, არამედ მსახურთა სიკეთესაც.

მღვდელი: დიახ, სამუშაოს გამცემთ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა სულიერ სიკეთეს, რადგანაც კაცი დანიშნულია არა მარტო აწინდელი ცხოვრებისთვის, არამედ მომავლის, საუკუნოსთვის. საუკუნო დანიშნულების მისწრაფებაში მას არსად არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი. მუშის დამკირავებელი არა გზით არ უნდა უშლიდეს მას თავის სარწმუნოებრივ მოვალეობათა ასრულებას. გარდა ამისა, თვით სამუშაოს მიმცემის ინტერესი მოითხოვს, რომ დაიქირაოს მორწმუნეობით ცნობილი მუშები; მიტომ რომ სარწმუნოება ხდის კაცს ერთგულად, კეთილ-სინდისიერად და პატიოსნად. ქვეშაობი მორწმუნე მუშები მუდამ ერთგული და კეთილსაიმედონი არიან.

პეტრე: აქამდინ ჩვენ სულ სამუშაოს მიმცემებზე ვლაპარაკობდით; მე მგონია, რომ თვით მუშებმა თავის მხრივ უნდა გამოიჩინონ თავაზიანობა და თვითონაც შეუწყონ ხელი თავის მდგომარეობის გაუმჯობესებებს.

მღვდელი: სრული სიმართლეა, რადგანაც მეტ წილად თვით მუშებზეა დამოკიდებული მათთვის საბედნიეროდ გადასწყდება მუშათა საკითხი თუ არა. ისინი წარმოადგენენ მეოთხე მიზეზს, რომელსაც აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში: რა მოითხოვება მათგან? ისინი პირველად ყოველისა. უნდა მოერიდნენ იმ კავშირებს, რომლებსაც ახლად

აქვს ამხედრება მუშებისა მდიდრების წინააღმდეგ და ყოველივე კერძო საკუთრების გარდაქცევა სახელმწიფოს საკუთრებად. ჩვენ უკვე მოვისმინეთ, რომ ამ გზით შერიგება არ მოხდება. იგივე უნდა ითქვას ყველას თანასწორობაზე საზოგადოებაში; რადგანაც კაცნი თანასწორნი არ არიან ნიჭით, ხასიათით და პირად მოთხოვნილებით. ეს თანასწორობა შესაძლოა გაგრძელებულიყო მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ერთი ნაწილი არ გასწყვეტდა მეორეს. რა მიიღეს უკმაყოფილო მუშათა შეერთებულმა პარტიებმა? გააუმჯობესეს მუშაობის პირობანი? საგრძნობელი და დადებით იმათ არა თუ არაფერი არ მიიღეს, პირიქით, საცა არიან ეს უახლესი მასწავლებელნი, „ქვეყნის კეთილისმყოფელნი“, უმოწყალოდ აგდებენ ხოლმე გარეთ იმათ, ვინც მათ არ ეთანხმება. ასე მოიქცევიან ისინი შემდეგშიც. აი რატომ არ შეუერთდებიან მუშები ამ პარტიას, თუ მათ აქვთ პატიოსნური განზრახვა.

მუშები უფრო იმ კავშირებში და საზოგადოებაში უნდა შეიკრიბონ, რომლებიც ქრისტიანულ საფუძველზე არიან დაფუძნებულნი, მიტომ რომ მხოლოდ ქრისტიანობა იძლევა საჭირო ღონისძიებას და გზასაც გვიჩვენებს აწმყო ცთომილებათაგან გამოსვლისას და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ქრისტიანობამ დაიხსნა კაცობრიობა წარმართობის ქაობიდან, და მის გაერცელებასთან და აყვავებასთან ერთად, ვრცელდებოდა და ყვაოდა ქრეშმარიტი ცივილიზაცია და კულტურა. იქ კი, სადაც ეხლა ჯერ კიდევ ბატონობს წარმართობა და მაჰმადიანობა, უმაღლესის კულტურის განვითარება სრულიად შეუძლებელია. ქრისტიანებს ქრისტიანული სარწმუნოების სახით, აქვთ საიმედო ღონისძიება სოციალურის სატკივრის

განკურნებისა და აწინდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლისა. ამიტომაც ვამბობ, რომ მუშები უნდა მიეყვდნონ იმ კავშირებს და საზოგადოებათა, რომლებიც დაფუძნებული არიან ქრისტიანულ საფუძველზე.

ამიტომ, ჩვენ ნება გვაქვს ურჩიოთ, რომ ყოველგან დაარსებულ იქმნენ ეს, ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებულნი ძმობანი და კავშირნი. აქ მიხედვიან მუშები, რომ საფუძველი ყოველისავე კეთილმდგომარეობისა არის სარწმუნოება და ქრისტიანული ცხოვრება. აქ ისინი იგრძნობენ, რომ მათი წოდებაც, როგორც ყველა სხვა, მიაღწევს თავის სამართლიან სურვილებს და მოლოდინს მხოლოდ მაშინ, როცა იცხოვრებს ქრისტიანულად, ღვთიურად. რა პირად უბირატესობასაც და უფლებასაც აძლევდენ მუშებს და ხელოსნებს, როგორც ხელს უწყობდენ ხელოსნობის და წარმოების განვითარებას უწინდელი ამქრები, სწორედ მისივე განხორციელება სურთ მუშათა ქრისტიანულ ძმობებს და კავშირებს. აქ მათ ნება აქვთ ილაპარაკონ შესახებ თავის სამუშაო ქირისა, სამუშაო დროსი, სწეულთა შეწყნარებაზე და საზოგადოდ თავის ყველა სურვილებზე. რომ სახელმწიფო არ ჩაერიოს მუშათა ამ შინაგანს ცხოვრებაში, ამიტომ უნდა შესდგეს დებუტატთა კომიტეტები მუშათა და სამუშაოს მიმცემთა წარმომადგენელთაგან. ამ კომიტეტებმა უნდა გადასწყვიტონ ხოლმე სურვილი და მოთხოვნილება ორთავე მხარეთა. თუ აღმოჩნდება რაიმე შეუფერებელი, მაშინ საჭიროა, რომ ორივე მხარე მუშებიც და სამუშაოს მიმცემნიც გაიმსჯელონ ქრისტიანულის სულით. მიტომ რომ ქრისტიანული სული თხოვლობს, ყველას თავისი მიეცეს, რომ სამუშაოს მიმცემებმა არამც თუ მარტო შეინაოჩუნონ თავისი კანონიერი უფლება, არამედ

იხელმძღვანელონ სიყვარულითაც, ე. ი. სიყვარულისა გამო არ უთხრან გაქირვებულს უარი იმაზედაც, რის მოქმედებას არ ავალეებს მას კანონი. იგივე ქრისტიანული სული მოითხოვს, რომ მუშები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავის მოვალეობას და ვადამეტებული არ ითხოვონ.

ამ რიგად, მუშები მტკიცედ უნდა იდგნენ ქრისტიანობაზე და იცხოვრონ მისი გავლენის ქვეშ. აქ არის მათი შველა, აქ არის მათი განკურნება. მხოლოდ ცხოველს, მომქმედს ქრისტიანობას შეუძლიან გადაწყვიტოს სოციალური საკითხი და ყველა, ვინც მოისურვებდა მის გადაწყვეტას თვინიერ ქრისტიანულის სულისა, ააშენებდა თავის სახლს ქვიშაზე. შემაწუხებელი სოციალური და პოლიტიკური გარემოებანი არ გაუმჯობესდებიან, თუ თავდაპირველად არ გაუმჯობესდება თვით კაცი. კაცმა რომ განავითაროს და განამტკიცოს თავისი გრძნობა სიკეთისა და უფლებისა, ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე, მაშინ უფრო გააღვიღდებოდა განკურნება ჩვენი სოციალური სენისა და გადაწყვეტა სოციალური შამოცანისა.

თომა: აქ მე ნებას მივცემ ჩემს თავს სხვა აზრი ვიქონიო. ჩვენ, ქრისტიანობაზე მიუხედავად, ისე შორს წავედით ეხლა, რომ არც კი ვიცით, რით და როგორ უშველოთ თავს.

მღვდელი: მაგრამ ეს ქრისტიანობის ბრალი არ არის; ამაში დამნაშავეა უფრო სინაკლე ქრისტიანობისა. ჩვენ ასე შორს არ წავიდოდით, რომ სამუშაოს მიმცემთ და მუშებს არ დაეკარგნათ ქრისტიანული სული, ურწმუნეობა და მასთან დაკავშირებული უზნეობა აღვიძებენ კაცში ყველა ქვენა გრძნობებს და ცოდვიანს ვნებებს და ჰქმნიან მას უბატონოდ და უსინდისოდ ეხლა სურთ მიიღონ ქვეყნიური ბედნიერება უსარ-

წმუნეობად; მაგრამ გამოცდილება და ისტორია გვაჩვენებს, რომ ეს დიდი შეცთომაა; რომ სარწმუნოება პირიქით საჭიროა არა მარტო ზეციური ბედნიერებისათვის მოსამზადებლად, არამედ მისთვისაც, რომ წინ წავიდეთ ქვეყნიურ კეთილდღეობაში. სოციალური საკითხი ამიტომ, არის არა მარტო სამეურნეო, არამედ სარწმუნოებრივი საკითხიც. ამის შესახებ ჩვენ განვაგრძობთ სიტყვას შემდეგს საღამოებზე.

ა. პ.

გაგრძელება იქნება.

ქველიერი.

სახარებაში არის ნათქვამი: „არა შთასხიან ღვინო ახალი თხიერთა ძველთა; რათა არა განსქდნენ თხიერნი, და ღვინო დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდნენ. არამედ შთასხიან ღვინო ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიპარხნიან“ (მათ. IX, 17). ახალი ღვინის ჩასხმა ძველ ტიკში საშიშარია. მაქარი, სანამ დუღს და არ დამდგარა, უშვებს ძალას, რომელსაც შეუძლიან ძველი ტიკი გახეთქოს, და მაშინ ტიკიც გაფუქდება და ღვინოც დაიქცევა. ამიტომ მაცხოვარი ამბობს, რომ არ შეიძლება ახალი ღვინის ძველ ტიკში ჩასხმა. ძველი ტიკი გამოსადეგია ძველი ღვინისათვის, ხოლო ახალი ღვინისთვის საჭიროა ახალი ტიკები.

ღვინის სახით აქ იგულისხმება ცხოვრების შეგნება, შეხედულობა, შემეცნება. ხოლო ტიკების სახით იგულისხმება ზნე-ჩვეულებანი, ცხოვრების წესწყობილება. თუ კაცს აქვს რომელიმე შეხედულებანი, იმას ცხოვრებაც იმნაირივე აქვს; თუ გამოსცვალა შეხედულებანი, ის ცხოვრებასაც გამოიცვლის. ვთქვათ, მაგალითად, კაცს სასმელი უყვარს. იმას ისეთი შეხედულება აქვს,

რომ კაცისთვის სასმელი სასარგებლოა, რომ უღვინოთ მუშა ვერ გასძლებს, რომ ღვინო იმას სიხარულს აძლევს; ამ კაცს ამ შეხედულობის შესაფერი ჩვეულებებიც ექნება. ის შრომით ნაშოვნ ფულებს თავის ცოლ-შვილს არ მიუტანს სახლში; უფრო სამიკიტნოში დასტოვებს; მისი მეგობრები იქნებიან მოკვიფე ბიჭები; მის სახლში ჯოჯოხეთი იქნება გამეფებული: ჩხუბი, დავი-დარაბა, ტირილი ბავშვებისა, სიღარიბე, ხოლო, როდესაც კაცს გამოეცვლება შეხედულება, როდესაც გაიგებს, რომ ღვინო არის მზავი, რომ სიმთვრალეში სიხარული-კი არ არის, არამედ უბედურობაა.—მაშინ იმას ცხოვრება სულ სხვა-ფრივ შეეცვლება. წინანდელი მეგობრები, ძმა-ბიჭები უცხოებად გახდებიან. სახლში უფრო წესიერება დამყარდება. ახალმა შეხედულობამ გამოიწვია ახალი ცხოვრებაც. არ შეიძლება ახალი აზრებით და გრძნობით ძველ ჩვეულებებზე ცხოვრება: ძველი ჩვეულებები შეესაბამებოდნენ ძველ შეხედულებებს, ხოლო ახალი შეხედულობები მოითხოვენ ახალ წესწყობილებას, ახალ ცხოვრებას.

მაცხოვარი იმას ამბობს, რომ მისი ახალი სახარების მოძღვრება ვერ შეურიგდება ძველ წარმართულ ზნე-ჩვეულებებს. ახალი შეხედულება ღმერთზე, ხალხზე, ცხოვრებაზე მოითხოვს ახალს წესებს, ძველ ჩვეულებების გამოცვლას. როდესაც კაცი ქრისტიანად გახდა, ის პავლე მოციქულის სიტყვისამებრ, უნდა შეიქმნეს ახალ კმნილება. „რომ იგი არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული; პირველი იგი წარბდა, ამა ესერა იქმნა ყოველივე ახალ“ (ბ. კორინთ-2, 19). ქრისტეს მოწაფედ გახდომა მარტო იმას კი არა ნიშნავს, რომ კაცი მოინათლოს, ქრისტიანული სახელი დაირქვას; არამედ, რომ სულით დაიბადოს, განა-

ხლდეს მთელის თავის ბუნებით, მიიღოს ახალი შეხედულება და ამის მიხედვით მოაწყოს ახალი, კეთილი, წმიდა ცხოვრება. „წინანდელმა გაიარა, ყველაფერი უნდა იყვეს ახალი“, — ამბობს მოციქული. მაცხოვარი გვასწავლის: „ახალი ღვინის ჩასხმა არ შეიძლება ძველ ტიკებში“. ქრისტიანებს-კი არამც თუ სადაც ცხოვრებაში, არამედ დღესასწაულებშიაც აქამდის შენახულია ბევრი წარმართული ჩვეულება. აიღეთ, მაგალითად, ყველიერი. ყველა სცილობს გაატაროს იგი, როგორც უდიდესი დღესასწაული: ყველგან ჩერდება მუშაობა, სასწავლებელში სწავლა აღარ სწარმოებს, სახლებში მთელი დღე სტუმრიანობაა, ნაყოფნებამდის სკამენ და სვამენ. ქუჩებში ჟივილ-ხივილია. რატომ ხდება ყოველივე ეს? ახლოვდება დიდ-მარხვა, ლოცვისა და სინანულის დღეები დგებიან, ხოლო ჩვენ-კი ყველას მხიარულება გვაქვს. თავის თავად მხიარულება, რა თქმა უნდა, ცოდვა არ არის, თუ იგი არის წმინდა, უმანკო; მაგრამ ყველას თავის დრო აქვს. ეკლესიის კარი-ბჭეში აღგილი არ არის თამაშობისა და გართობებისა, აქადგილი არ არის მხიარული სიმღერებისა. როდესაც ჩვენ ეკლესიაში მივდივართ, ჩვენ მიგვაქვს თან სერიოზული, ლოცვის განწყობილება; შევდივართ-რა ტაძრის გაღაჟანში, პირჯვარს ვიწერთ; კარი-ბჭეში მოწიწებით ქუდს ვიხდით. სიახლოვე წმინდა აღგილისა მოითხოვს განსაკუთრებითს პატივისცემას. სწორეთ ვგრეთვე მარხვის შესაფაღშიც არ არის დრო მსუქანი ჭამისა და ჟრიაბულიანი გართობებისა. გამოდის, რომ ქრისტიანული შეხედულება ერთია, ხოლო ჩვენი ჩვეულებანი — მეორე, რადგანაც ჩვენი ყველიერი არის ძველი ტიკი, დარჩენილი ძველის წარმათობისა. ქურქელი, რომელშიაც დიდი ხანი იყო სიმთაფე ან

სიღამააღლე რამ, თუ იმას კარგათ არ გამოხეხავენ, არ გამოოროთქლავენ, დიდხანს არ გამოიღვეს თავის გემოს და სუნს, და რაც უნდა ჩაასხან, არ იქნება, რომ თავის სუნი არ მისცეს. ჩვენ საკმარისად არა ვართ განწმენდილები სინახულით, სუსტათა ვართ გაქვლითილები სახარების სულით: მიუხედავად დიდი ხნის ქრისტიანობისა, ჩვენში ბევრი წარმართული ჩვეულებაა. ჩვენი ქრისტიანული შეხედულებანი შეკავშირებულია ჩვენში წარმართულ ჩვეულებებთან, — ახალი ღვინო არის ჩასხმული ძველ ტიკებში. დროა მოვამზადოთ ახალი ტიკები ახალი ღვინოსათვის. ქრისტიანულის შეხედულების თანახმად მოვაწყოთ ქრისტიანულად თვით ცხოვრებაც. დროა მოვიფიქროთ ადგილი აქვს ყველიერის ასეთ გატარებას დიდმარხვის წინ?

როდესაც კაცი მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს, მაშინ მას არ შეუძლიან უცბათ გაჩერდეს: სიჩქარის გამო ის უნებლიეთ რამოდენიმე ნაბიჯს მეტს გადასდგამს. საჭიროა წინათვე შეატყობინო სიჩქარის მოკლება. ეკლესია დიდმარხვის წინ ასე იქცევა. ხალხი ამაოებაში, ზრუნვაში დღითი-დღე გართულია, ჩანთქმულია, როგორც მორევში. ძნელია უცებ გაჩერება, გონს მოსვლა. ეკლესია წინათვე, სამი კვირის წინათ, იწყებს ხალხის მზადებას. გამოფხიზლებას. კვირაობით სახარებიდგან დადებულია წაკითხვა — მეზვერეზე და ფარისეველზე, უძღებ შვილზე, საშინელ სამსჯავროზე.

ჩაიხედე შენს გულში, — ეუბნებიან ეს იგავეები კაცს; — ჩაფიქრდი, გაშინჯე შენი ცხოვრება, ყველაფერი კარგათ არის, თუ არა; შეგიძლიან იარო მაგ გზით, თუ არა; ხომ არ დაშკარგე ღვთის გზა; ხომ არ წახვედი შორს ღვთის სიმაართლიდგან, როგორც უძღე-

ბი შვილი? გახსოვდეს, რომ თვეის დრო იყო, მაშ მკის დღეებიც მოვა. ქრისტე მაცხოვარმა მისცა ხალხს მარცვლები სიკეთისა და სიმაართლისა; შენ ერთი მაინც აღმოაცენე, თუ არა? შენ ხარ გამოგზავნილი ქვეყნად ღვთის მამულში სამუშაოდ; იმუშავე, თუ არა; მიუმატე, თუ არა ღვთიურ მოსაველს; მიუმატე, თუ არა სიკეთეს და სიმაართლეს ქვეყანაზედ?

რაც ღრმად ჩაუფიქრდები კაცი თავის ცხოვრებას, მით მომეტებულის მწუხარებით ივსება შენი გული. რამოდენა ცხოვრებაა განვლილი, რამოდენა ძალა და ღონეა დახარჯული! და ყოველივე ეს რაზედ, რისთვის? გინდა მეზვერესთან ერთად დაეხმო ძირს დედა-მიწაზედ, და შესთხოვა: „ღმერთო! მიღხინე მე ცოდვილსა ამას!“ გინდა გაუბედავის ნაბიჯით, უძღები შვილის მზგავსად, დაუბრუნდე მამის სახლს და სთხოვო: „განმიღე მე კარი სინანულისა, ცხოვრების მომცემლო!“

ამნაირ წამებში რა შეუფერებლად, რა ველურად მოსჩანს ნაყოფენებითა და ღვინით ატეხილი ყველიერის ყრია-მული!..

რა ვქხათ მაშ? იკითხავთ თქვენ. — ჩვენ არ დაგვიწესებია, და ჩვენითვე არ გათვედება; ხალხის წინააღმდეგ ვერ წახვალ: როგორ ჩამორჩები სხვებს? დაგვიცინებენ, განგსჯიან, მეგობრობაზე ხელს აიღებენ.

— უბრალო სიტყვებია; არც-კი ღირს მაგათი უარის თქმა. „ჩვენ არ დაგვიწესებია, და ჩვენითვე არ გათვედება“ — რატომ არა? წარმოვიდგინოთ, რომ შენ ტყეში შეგიყვანეს, ხშირ დაბურულ ტყეში, და გაგიშვეს იქ; მაიგავიხარიან, რომ შენ მოსძებნი გამოხასხველელ გზას! ან, მიიღე შენ შემკვიდრობით არეულ-დარეული მამული; გაგიხარიან, შენ შეუღლები იმის მოწყვსრიგებას! ან

გადახვედი შენ ისეთ სახლში, რომელიც წინანდელ მდგმურებს ტალახით გაუსვრიათ; — გაგიხარიათ, შენ შეუდგები იმ სახლის დაწმენდა-დასუფთავებას!.. ბევრია ჩვენ ცხოვრებაშიაც მემკვიდრეობით დარჩენილი უწესოება და ქუჩუკი. დროა, როდისმე მივხვდეთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა ბოსელში, არამედ ღვთის ქვეყანაზე, რომ ჩვენი დედა-მინა არის ღვთის მამული. სადაც ყოველივე მოწესრიგებული უნდა იყოს, რომ მთელი ქვეყნიერება არის ერთი საზოგადო ღვთის ტაძარი, სადაც ყველა ხალხები უნდა ემსახურებოდნენ ღმერთს. მუდამ ღვთის-მსახურებას განაგებდნენ. დროა გავიწმინდოთ, დროა დავტოვოთ ძველი ტიკები და მოვაწყოთ ცხოვრება ახალ, ქრისტიანულ შეხედულებების თანახმად. ვთქვათ, არ მოეწონოს ხალხს ახალი წესები, ახალი ტიკები. რა უშავს? ოღონდ ღვთის სასიამოვნო იყოს. დაე სხვებმა შენს მეგობრობაზე უარი სთქვან, თუ ეს მოხდება, ოღონდ-კი შენ არ დაშორდე ღმერთს. უფუნური, ბნელი ადამიანები ვერ გაიგებენ შენ ქცევას; გარნა კეთილი და გონიერი ადამიანები დაგაფასებენ და ნელ-ნელა გამოგესარჩლებიან შენ. იყო ასეთი შემთხვევა. დაბრუნდა ერთი კაცი სამსახურიდან სოფელში. სამსახურში ისწავლა წერა-კითხვა, და მოიტანა თან ახალი ალთქმა. მეზობლები შედიოდნენ ხოლმე იმასთან სადამოობით, ერთათ კითხულობდნენ, ისმენდნენ და საუბრობდნენ. თითქოს სიბნელეში სანთელი აენთო. ბევრ რამეს გლახებმა ახალის თვალსაზრისით დაუწყეს ცქერა. დააპირა ამ კაცმა ქორწილი. სოფელში დაიწყეს ლაპარაკი, რამდენ კოკა ღვინოს იყიდდა ის ქორწილისთვის, ან საქმელად რა ექნებოდა. თითონ კაცს-კი თავის თანამოაზრეებით სულ სხვა ლაპარაკი ჰქონდა.

ვერ არის ეს კარგი საქმე, რომ ქორწილში სიმთვრალე იციან. — ამბობდნენ ერთმანეთში მოსაუბრენი. — ქორწინება დიდი საიდუმლოა. ორი სული ერთად ერთდება, როგორც ქრისტე ერთდება ეკლესიასთან. იწყება ახალი ცხოვრება. ოჯახი კეთდება, იყრება საძირკველი ახალი შთამომავლობისა. აქ საჭიროა ლოცვა, და არა ღვინო: — კურთხევა უფროსების მხრივ, და არა სიმღერა და ცეკვა. — არა უფნური ხუმრობები, არამედ ახალგაზდათა დარიგება პატრიოსური შრომით და სიყვარულით ცხოვრებაზე.

მოუვიდათ ადამიანებს ახალი შეხედულებანი, ამათ მაშინვე ახლად მოაწყეს ცხოვრება. ახალი ღვინო ჩაასხეს ახალ ტიკებში. ხოლო სხვები ამაზედ რას იტყოდნენ, როგორ შეხედავდნენ, ეს იმათ არ ადარდებდათ.

სოფელში, მართლაცა და, ამაზედ ბევრი აყაყანდნენ: „ქორწილს აპირებენ, და სტუმრებს-კი არა ჰპატიუბენ! ამაზე საკვირველება იქნება რამე?“

ახალგაზდებმა ჯვარი დაიწერეს, ეკლესიიდან უბრალოდ, უფრიამულოდ წავიდნენ სახლში. შევიდნენ ქოხში, ილოცეს. მშობლებმა დალოცეს ისინი. მოუსხდნენ მაგიდას, გახსნეს სახარება და დაიწყეს კითხვა. ფანჯრებთან მოგროვილიყო თითქმის მთელი სოფელი. ყველას უკვირდა, როგორი ქორწილია! ერთმა დედა-კაცმა დასცინა და გაჰკიცხა ხმა-მალლა.

ნუ დასცინი, ნათლიდედა ფეფე. უთხრა მას შეუმჩნეველად მიმავალმა მღვდელმა, ეს არის ქრისტიანული დასაწყისი ახალ ჯვარდაწერილთა ცხოვრებისა. როცა შენ ქალსაც გაათხოვებ, გირჩევ ქორწილი ესე გადაიხადო.

გლახები დაიშმუშნენ. — მართლაცადა, რომ ჩაუფიქრდეთ ჩვენი ქორწილი ქორწილი კი არაა, შეყოთია ხოლმე, სთქვეს იმათ.

აი ჩვენი სიბნელე; შეიძლება, ეს კაცი კარგადაც მოიქცა, რომ ქორწილი ასე გადაიხადა.

ქორწილების გადახდა ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, უცებ არ გამოიკვალა, მაგრამ ხალხში კი ხშირად გაისმოდა ლაპარაკი სიმთვრალის წინააღმდეგ ქორწილებში.

ეგრევე უნდა ითქვას ყველიერის შესახებაც. ლაპარაკი უნდა, ახსნა, ჩაგონება უნდა ხალხს. ახალი შეხედულება ახალ ცხოვრებასაც მოიტანს. რასაკვირველია, გაქცეულ მთელ ხალხს უცებ ვერ გააჩერებ; მაგრამ თუ დიდ-ხანს და ხმამაღლა უყვირი, მაშინ ხალხი ყურს დაუგდებს, მოუკლებს სიბილეს, და როდესაც მიხვდება, რომ გზა ისე არ არის, მაშინ სულაც გაჩერდება.

სამწუხაროდ, ხმა ჩვენში სუსტია, დაბალია. ყელის ტკივილს ნამეტნათ ვერიდებით.

მღ. იოანე ლუკიანოვი.

კრიტიკული შენიშვნები.

(„გრემლი“, სალიტერატურო კრებული, წიგნი 1.)

ბ. გ. ქიქოძის კრიტიკული ნარკვევი „ოგიუსტ“ როდენი“ კარგი სტატიაა. ავტორი როგორც ჩანს, ახალგაზდა მწერალი უნდა იყოს და, ქართული ენა რომ ასე მოსაწონი აქვს, ეს გარემოება იმედს გვაძლევს რომ ნიჭიერ ადამიანის შეილთან გვაქვს საქმე. ძალიან კარგი განზრახვაც მოსვლია მას, რომ ქართველ მკითხველს გააცნო ოგიუსტ როდენი.

რალა მტკიცება უნდა იმას, რომ ფრიად საჭიროა უცხოეთის ნიჭიერ მწერლების, მეცნიერთა, ფილოსოფთა, მგოსანთა, კრიტიკოსთა, მხატვართა და საზოგადო მოღვაწეთა გაცნობა ქართველთათვისაც ქართულს ენაზე. ჩვენი ლიტერატურა ამ მხრივ ისეთი ცარიე-

ლია, რომ, წარმოიდგინეთ, რუსეთელი პირველ ხარისხოვანი პოეტი და მწერალი კი, გადმოქართულებული არ გაგვაჩნია მაშინ, როდესაც ჩვენს მეზობელს—სომხებს წმინდათ გადათარგმნილი აქვთ მთლათ პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხ, და სხ.

რუსეთშიაც, რუსულ ენაზე, აგერ, რამდენი ხანია მთელი დიდი ჟურნალი ისტამბება ყოველთვიურათ, სახელდობრ, „Вестникъ иностранной литературы“, სადაც საკუთრად, უცხოეთის ლიტერატურას აცნობს ხოლმე რუსის მკითხველებს და ჩვენში კი თუმცა მკითხველი, როგორც საერთოთ ქართულ წიგნს, ცოტაც ეყოლებოდა ყველა ამას, მაგრამ მაინც ამისი ცდაც კი არ ყოფილა ტყვილა.

ამიტომ „ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება“ სწორეთ კარგად მოქცეულა, რომ ბ. გ. ქიქოძის სტატია სახელოვან ოგიუსტ როდენზე დაუსტამბავს „გრემლის“ ფურცლებზე. ამისთანა სტატიები, იქნება, ორიგინალობას მოკლებულნიც იყვენ, მაგრამ, დამეთანხმებით, კი ქართულის ენით დაწერილნი, ნიჭიერად შედგენილნი ძალიან დიდ სამსახურს გაუწევენ ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

1911 წელს ოგიუსტ როდენს საფრანგეთში დიდის ამბით, სამოცდა თუთხმეტი წლის თავზე იუბილე გადაუხადეს და სახელოვანმა კრიტიკოსმა შარლმორისმა თავის კრიტიკულ სტატიაში იგი დაადარა ლეონ ტოლსტოის. „პირველად ტოლსტოი გვიხატავდა თავის დროის პირობაზე თავის საკუთარ სულის, შემდეგ კი ცდილობდა თავისი დროის იარები მოერჩინაო და ეს მეორე კი პირდაპირ სპობს პირველისო... მაგრამ, როცა ლაპარაკობ როდენზე უნდა მუსლი მოიდრიკო კაცობრიობის ახლის და უტყვი

ბუნების ყოფნის უდიდებულეს ჰარმონიის წინაშე. როდენს არა სჭირდება უარპყოს რაიმე თავის ცხოვრებაში, რადგან იმისი საკუთარი მისწრაფებანი, ლოლიკურად ერთი მეორეზე გადაბმულნი და შეკავშირებულნი, ვითარდებოდენ სრულიად, კანონიერად ერთი-მეორეზეო.

საფრანგეთის კრიტიკოსმა ოგიუსტ როდენი ლეონ ტოლსტოიზე „მაღლა“ დააყენა და იმის წინააღმდეგ ამხედრდენ რასაკვირველია, რუსის კრიტიკოსები...

ძალიან კარგი იქნებოდა, ბ. გ. ქიქოძეს თავის წერილში მოეტანა დასავლეთის ლიტერატორთა და კრიტიკოსთა აზრებიც როდენზე და არა მატრო იმათი აზრები. ჩვენს ავტორს უნდა დაესახელებინა სოციალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი კრიტიკოსის აზრი მაინც ოგიუსტ როდენზე, რომ ქართველ კაცს უფრო სრული შეხედულობა შეეძგინა ამ მართლაც შესანიშნავ მხატვარზე.

როდენის სკულპტურისთვის არ არის ადგილი, არც არქიტექტურაში, არც მოედანზე. ერთი კრიტიკოსი ამბობს, რომ როდენის ძეგლი „კალეს მოქალაქენი“, რომელიც ამ ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობის წინ დგას, არსებითად მუზეის ნაწარმოებიაო. „ყოვლის მხრით ერთიანად ამ ძეგლის განსჭვრეტა ყოვლად შეუძლებელია—იმას უნდა შეხედოთ en pace; ამ ძეგლის შევნიერებას ერთბაშათ ესთეტიურად ვერ განიცდით—ცალკე-ცალკე უნდა დაუწვრილმანდე თითოეულს იმ ექვს ფიგურათაგანს ისე, როგორც წაიკითხვენ ხოლმე წიგნის თითოეულს გვერდს. სწორედ ამ მუზეისჭურს, სახელდობრ როდენის შემოქმედობის არა მონუმენტალურს ხასიათშია, მისი არხიტექტურასგან ასე დაშორებაშია მისი გენიის ტრაგიზმი მთელი ჩვენი თანამედროვე განცალკევებული, განზე მდგომი მხატვრობისა. რადგანაც სკულპტურის დაშორება, მისი ჩამოცი-

ლება მონუმენტალურ მთლიანობისგან არის ფაქტი არა თუ ტენნიკური, არამედ სოციალისტურიც. ხელოვნების ისტორია გვიჩვენებს, რომ ხელოვნება არხიტექტურას და ებოსს სრულიად მოსცილდება ხოლმე იქ და მაშინ, საცა და როცა აღარ არის ხალხის თვითცნობიერების ორგანო, აღარ არის საყოველთაო სურვილების სინტეზი და იგი ვახდება, შეიქნება ინდივიდუალურ კერძო საკუთრების ფუნქციად. ეს არის სწორედ დეკადანსის და დიფერენციაციის ეპოქები, როცა ხელოვნებასა და მშრომელ ხალხს შორის უფსკრულია გამსკდარი და მხატვარი ამბობს „Equitidus cano“, „საკუთრად თვით ჩვენშივე უნდა აღმოვაჩინოთ ახალი სიმდიდრენიო, როგორც იტყოდა ხოლმე როდენიო“.

მე ვუერთდები „თემის“ რეცენზენტის, ბ. ლელოს აზრს ამ საგანზე: „ვერ ვიზიარებ ბ. გ. ქიქოძის აფრთოვანებას როდენით. მე მგონი, ამის უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ როდენის თითქმის ყველა საუკეთესო ქანდაკება ბრინჯაოსია. მე კი ჯერ აქამდის ვერ შევჩვევივარ ბრინჯაოს ქანდაკებათ ისე, როგორც აგურის ეკლესიას თლილი ქვის ნაცვლათ. და, თუ გულში მწუდება რამე როდენის—ეს ისევ ის ქანდაკებანი, რომელნიც მარმარილოდან არიან ნაკვეთნი.“

რა შეედოება თეთრ, სპეტაკ მარმარილოს უკვე რამდენიმე ათასი წლის წინათ ბერძნებით სულჩადგმულს!

მართლაც ნუ თუ გგონიათ, რომ ვენერა მილოსისა ისევე გულთა მპყრობელი იქნებოდა, ბრინჯაოსი რომ ყოფილიყო!

რას ემსგავსებოდა ბართლომესგან შექმნილი შესანიშნავი ძეგლი „პერლაშეზის“ სასაფლაოზე, იგი რომ ბრინჯაოთი ყოფილიყო ჩამოსხმული? ახლა კი

მარმარილოთ ნაკვეთი მრავალსურათიანი ღრამა ადამიანთა სიცოცხლისა თვალწინა ჰშლის მთელ საიდუმლოებას და საშინელებას სიკვდილისას.

უამრავი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ამისი განგრძობა აქ უადგილოა.

ხომლედი.

შემდეგი იქნება.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მკვდლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ თ ი ა დ შ ე ბ ა .

ქურონალ „განთიადის“ და ვაჭ. „შინაური საქმეების“ განჯორაში

იყიდება სამღვდლოებისათვის საჭირო შემდეგი ბლანკები:

- 1) მეტრიკის ამოწერილობანი, 2) ნების მოწმობები, 3) საქმედლოების აღსარებითი სიები, 4) რწმუნებანი და მოთხოვნანი (Требов. и Удостов.), 5) სავადო ცნობები ბლადოჩინთათვის, 6) სალდათების სიები, 7) კანტრაქტები, 8) სატარებელი წიგნაკები (Разносные кни.), 9) შემოსავალ-გასავლის წიგნები, 10) ცნობის ფურცლები (Справоч. листы), და სხ. აქვე იყიდება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნები და წიგნაკები.

ბიძეობა ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

შოველთვიურ ქურნალ

„გ ა ნ თ ი ა დ შ ე“

(წელიწადი პირველი)

და შოველთვიურულ ვაჭათ

შინაურ საქმეებზე

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ქურნალისა ცალკე 5 მანეთი, ვაჭეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-სახოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მკვდლიძე.

სტამბა „მშობა“ ვახაკოვის ქუჩა № 17. ქ. ქუთაისში.